მასწავლებლის წიგნი

ქართული ენა უცხოელი შემსწავლელებისთვის

სიმპოზიუმი

A2+

ენის საფუძვლის
გაძლიერებული დონე

თინათინ კილურაძე
ეკატერინე ქუთათელაძე

აღმართი A2+

მასწავლებლის წიგნი

მასწავლებლის წიგნში დეტალურად არის აღწერილი შემსწავლელის წიგნსა და სამუშაო რვეულში მოცემული თითოეული დავალების მიზანი. სავარჯიშოების ნუმერაცია მისდევს წიგნისა და რვეულის ნუმერაციას. მსგავსი ტიპის დავალებებთან დაკავშირებით არის მითითება – *იხელმძღვანელეთ იმავე პრინციპით.*

ტერმინთა განმარტებისთვის (*გლობალური გაგება, სელექციური გაგება* და *დეტალური გაგება*) იხილეთ მეთოდური სახელმძღვანელოს თეორიული კურსი (თავი 2, გვ. 15).

მასწავლებლის წიგნზე მუშაობდნენ:

ავტორები: თინათინ კიღურაძე, ეკატერინე ქუთათელაძე
რედაქტორი — ნატა დავითაშვილი
დამკაბადონებელი — ტატიანა საბანაძე

მასწავლებლის წიგნზე მუშაობაში მონაწილეობდნენ ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის სტაჟიორები: ანა როსტომაშვილი, ქეთევან ყულჯანიშვილი, თამთა ასამიძე, თინა ყაზარაშვილი, ნანა სოლომნიშვილი, თამთა ჩაჩუა.

სახელმძღვანელო მომზადდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს "ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების" პროგრამის ფარგლებში.

პროგრამის ავტორი და ხელმძღვანელი — მარიკა ოძელი

მასწავლებლის წიგნი

ISBN ©

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო,
ქართულის, როგორც უცხო ენის, სწავლების პროგრამა
„ირბახი“, 2017

თემა I

დამზადებულია საქართველოში

ბლოკი 1

ეროვნული პროდუქტი

1. პირველი აქტივობის მიზანია, შემსწავლელებმა გაიაქტურონ წინარე ცოდნა მოცემულ თემაზე.

2. **ა** მეორე აქტივობის მიზანია შემსწავლელების თემისთვის შემზადება და წინარე ცოდნის აქტივაცია. შემსწავლელები ჩამოწერენ პუნქტებად თავიანთ აზრს ეროვნული პროდუქტის წარმოების შესახებ.

ბ აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება.

3. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. ამავდროულად, მოცემულ სიტყვებში ისინი იპოვიან და შემოხაზავენ ნაცნობ ფუძესა და აფიქსებს.

4. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შეძლოს ზმნების პარალელური ფორმების ამოცნობა, საერთო აფიქსების პოვნა და მათი ფუნქციის გაგება.

5. ეს არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა, რომლის მიზანია წერის უნარ-ჩვევის გავარჯიშება. შემსწავლელები დაწერენ ეროვნული წარმოების ერთ-ერთ წარმატებულ სფეროზე და მის შედეგებზე.

ბლოკი 2

ქართული ექსპორტი

1. **ა** აქტივობის მიზანია ტექსტისთვის შემზადება და ლექსიკაზე ვარჯიში. შემსწავლელები გაიგებენ „ექსპორტის" მნიშვნელობას, მიხვდებიან რაზე იქნება ტექსტი.

ბ. აქტივობის მიზანია ლექსიკურ ერთეულებზე ვარჯიშება. შემსწავლელები აზუსტებენ ,,ექსპორტის" მნიშვნელობას და იყენებენ ლექსიკონს.

2. **ა** მეორე აქტივობის მიზანია წინარე ცოდნის გააქტიურება ექსპორტთან დაკავშირებით. წერენ, რას აწარმოებს ქვეყანა და რომელი პროდუქტები გადის ექსპორტზე.

ბ მოცემულ აქტივობაში შემსწავლელი გლობალურად კითხულობს ტექსტს და ადარებს თავისივე ჩამოწერილ პუნქტებს.

3. მოცემული აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის განვითარება. შემსწავლელი არჩევს კონკრეტულ პროდუქტს, რომელიც რამდენიმე ქვეყანაში გადის და უწერს ქვეყნების რაოდენობებს.

4. აქტივობის მიზანია ლექსიკაზე მუშაობა და კონტექსტის მიხედვით მათი მნიშვნელობების ამოცნობა.

ბ მოცემული აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს აფიქსების პოვნა, რომლებიც აწარმოებენ სიტყვებს.

5. **ა** აქტივობის მიზანია დეტალურ კითხვაზე ვარჯიში.

ბ მოცემულ აქტივობაში შემსწავლელმა უნდა შეძლოს აფიქსების ამოცნობა და ერთმანეთისგან გამიჯვნა.

გ მოცემულ აქტივობაში შემსწავლელი ყურადღებას ამახვილებს თანდებულებსა და ბრუნვებზე.

ბლოკი 3

აგროჰაბი

---

1. დავალება ემსახურება გლობალური კითხვის უნარ-ჩვევის განვითარებას, შესაბამისად, ფლაიერში მთავარი აზრის ამოკითხვას.

2. სელექციური კითხვის დავალებაა, რომლის მიზანია, ფლაიერში მოცემული ინფორმაციიდან მხოლოდ ორ საინფორმაციო ერთეულზე კონცენტრირება და ამ ინფორმაციის მოძიება ტექსტში.

3. ტექსტის დეტალური გაგების დონეზე მუშავდება ლექსიკური მასალა, კერძოდ, ნაცნობზე დაყდრნობით უნდა ამოიცნოს შემსწავლელმა ახალ / უცნობი სიტყვების მნიშვნელობები კონტექსტიდან. სასურველია, საჭიროებისამებრ, ტექსტში იპოვოს შემსწავლელმა აღნიშნული ფრაზები.

4. მოკლე ფუნქიცური ტექსტიდან შემსწავლელმა უნდა ამოიკითხოს კონკრეტული ინფორმაცია, რომელიც მითითებულია დავალების პირობაში. მარტივ დონეზე საჭიროა ტექსტის ანალიზიც, რადგან ბ დავალებაში პასუხი პირდაპირ არ იკითხება ტექსტში.

5. აღმოჩენის პრინციპით გრამატიკის სწავლება კონტექსტიდან გამომდინარე. გრამატიკული ფენომენი მოცემულია ტექსტში, ხოლო დეტალური გაგების დონეზე

საჭიროა ამ ფენომენის ფუნქციის აღმოჩენა ნათესაობით ბრუნვასთან შედარება-შეპირისპირების გზით.

ბლოკი 4

პროდუქტის ეტიკეტი

1. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები წაიკითხავენ მოცემულ წარწერას და უპასუხებენ დასმულ შეკითხვებს.

2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები წაიკითხავენ ტექსტს და უპასუხებენ შეკითხვებს.

3. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

4. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. წაიკითხავენ მოცემულ ტექსტებს და შეავსებენ ცხრილს.

5. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მისწერენ წერილს აგროჰაბს და დაუსვამენ შეკითხვას.



თემა II

საგანგებო სიტუაციები

ბლოკი 1

112 (ას თორმეტი)

1. აქტივობის მიზანია შემსწავლელების შემზადება თემისთვის და წინარე ცოდნის გააქტიურება. შემსწავლელები ჩამოწერენ საგანგებო სიტუაციებს, რომელთა დროსაც უნდა დარეკონ 112-ზე.

2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

3. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები წაიკითხავენ მოცემულ ტექსტს კიდევ ერთხელ და დეტალურად დაამუშავებენ.

4. მეოთხე და მეხუთე აქტივობების მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევებზე ვარჯიში. მეოთხე აქტივობაში მოკლედ ჩამოაყალიბებენ, როგორ უნდა გაარკვიონ, როდის უნდა დარეკონ 112-ზე.

მეხუთე აქტივობაში კი უნდა იპოვონ აუცილებლობის გამომხატველი ფრაზები.

ბლოკი 2

ზარი ოპერატორთან

1. აქტივობის მიზანია ტექსტის გლობალური გაგება. შემსწავლელები წაიკითხავენ ტექსტს და მოუფიქრებენ ყველაზე შესაფერის სათაურს.

2. მეორე აქტივობის მიზანია ლექსიკაზე ვარჯიში. შემსწავლელები კონტექსტის მიხედვით ამოიცნობენ ფრაზების მნიშვნელობას და შეაერთებენ შესაბამის ვარიანტებთან.

3. **ა** აქტივობის მიზანია ტექსტის დეტალური გაგება და კონტექსტის მიხედვით ვითარებითი ბრუნვის ფორმებზე ყურადღების გამახვილება. შემსწავლელი ტექსტში პოულობს -ად სუფიქსით დამთავრებულ ფორმებს.

ბ მოცემულ აქტივობაში შემსწავლელი ყურადღებას ამახვილებს, რატომ არის საჭირო და რას გამოხატავს მის მიერ ამოწერილი ფორმები.

გ აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ერთმანეთისგან განასხვავოს სამი ფორმა და ამოიცნოს მაწარმოებელი მორფემები.

დ ეს არის შემაჯამებლი აქტივობა. შემსწავლელი უკვე შესრულებული სავარჯიშოების მიხედვით აწარმოებს ფორმებს და აყალიბებს წესს.

4. მეოთხე აქტივობაც ტრანსფერს ემსახურება. შემსწავლელი იყენებს იმ ინფორმაციას, რაც წინა სავარჯიშოებიდან გაიგო და ავსებს გამოტოვებულ ადგილებს შესაბამისი ფორმებით.

5. ბოლო აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ტექსტის მიხედვით და წინარე ცოდნის გამოყენებით შეძლოს ინსტრუქციების მიცემა.

ბლოკი 3

დაკარგული ნივთი

---

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელს გამოუმუშაოს უნარი გამოიცნოს თანამოსაუბრის განწყობა მასთან საუბრის დროს. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს ხმის ინტონაციაზე დასაკვირვებლად.

2. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა გლობალურად გაიგოს, თუ რის შესახებაა დიალოგი.

3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი თავდავდაპირველად დააკვირდეს იმ განსხვავებას, რომელიც ახლავს მეგობართან და პოლიციელთან დიალოგს.

4. აქტივობის მიზანია, შემსწვალელმა დეტალურად მოუსმინოს ჩანაწერს და თანამიმდევრობით დაალაგოს ფრაზები. მოცემული აქტივობა დაეხმარება მას ავთენტიკურ სიტუაციაში ფრაზების თანამიმდევრობით გამოყენებასა და ფრაზების იდენტიფიცირებაში, რომლებიც უნდა გამოიყენოს მეგობართან და პოლიციელთან საუბრისას. ამავე მიზანს ემსახურება შემსწავლელის რვეულის მესამე ბლოკის მეორე, მესამე და მეოთხე აქტივობები.

5. აქტივობის მიზანია ბლოკიდან მიღებული გამოცდილების პროდუცირება. გამოყენება იმისა, რაც ისწავლა შემსწავლელმა.

ბლოკი 4

დიალოგი პოლიციელთან და ოპერატორთან

1. აქტივობის მიზანია გლობალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მოუსმენენ ჩანაწერს და მონიშნავენ სწორ პასუხებს.

2. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. მოუსმენენ ჩანაწერს კიდევ ერთხელ და უპასუხებენ შეკითხვებს.

3. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ჩანაწერის მიხედვით გახაზავენ საფულის აღწერილობას.

4. აქტივობის მიზანია დეტალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ჩანაწერის მიხედვით უნდა ამოიცნონ თავაზიანი შეკითხვის ფორმები.

5. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. მოსმენილი სიტუაციის მიხედვით გაითამაშებენ დიალოგს.



თემა III

მოგზაურობა

ბლოკი 1

დასასვენებელი ადგილები

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელები თემისთვის შეამზადოს და გაუაქტიუროს წინარე ცოდნა დასასვენებელ ადგილებთან დაკავშირებით.

2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელები შეამზადოს თემისთვის. ისინი მონიშნავენ, რა უფრო უყვართ, ზაფხული თუ ზამთარი.

3. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები გადაავლებენ თვალს მოცემულ ტექსტს და იპოვიან მოცემული სიტყვის მნიშვნელობას.

4. აქტივობის მიზანია შემსწავლელმა რუკის დახმარებით ამოიცნოს და დაწეროს, როგორი ამინდია საქართველოს სხვადასხვა კუთხეში.

5. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები აღწერენ ადგილს, რომელიც მოსწონთ დასასვენებლად.

ბლოკი 2

სამოგზაურო ტურები

1. პირველი აქტივობის მიზანია, შემსწავლელები შეამზადოს თემისთვის და გაუაქტიუროს წინარე ცოდნა ქვეყნებსა და მათთვის დამახასიათებელ ამინდთან დაკავშირებით.

2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი შეამზადოს თემისთვის და აღუძრას მოტივაცია. შემსწავლელი ყურადღებას გაამახვილებს დასასვენებელ ადგილებზე და შემდეგ გაეცნობა ტექსტს.

3. მოცემულ აქტივობა ხელს უწყობს სელექციური კითხვის უნარ–ჩვევის განვითარებას. შემსწავლელი კითხულობს ტურების შესახებ ინფორმაციას და ავსებს ცხრილს.

4. მოცემული აქტივობაში გრძელდება სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში და ყურადღება მახვილდება ლაპარაკზეც. შემსწავლელმა თითოეულ ადამიანს მისთვის შესაფერისი ტური უნდა შეურჩიოს და ამასთანავე, დაასაბუთოს საკუთარი აზრი.

5. მეხუთე აქტივობა ემსახურება ტრანსფერის ფაზას. შემსწავლელმა ახლა უკვე დამოუკიდებლად უნდა შეძლოს, მეწყვილეს ტურის შესარჩევად საჭირო კითხვები დაუსვას და მისთვის შესაფერისი ტურის მოიძიოს.

ბლოკი 3

სასტუმროს შერჩევა

---

1. აქტივობის მიზანია შეამზადოს შემსწავლელი სამუშაო ბლოკისთვის. მისი შესრულებისას ვითარდება წერისა და ლაპარაკის უნარ-ჩვევები, რადგან შემსწავლელებს უწევთ შეკითხვების ერთმანეთისათვის დასმა და პასუხების ჩაწერაც.

2. აქტივობის მიზანია, კითხვის სელექციური უნარ-ჩვევის დახმარებით, ტექსტში მნიშვენლოვანი ინფორმაციის მოძებნის უნარის გამომუშავება.

3. მოცემულ აქტივობაში კვლავ გრძელდება მუშაობა კითხვის უნარ-ჩვევაზე, მაგრამ ამჯერად შემსწავლელს თვითონ უწევს გადაწყვიტოს, თავისი აზრით, რომელია მნიშვნელოვანი ინფორმაცია ტექსტში, უფრო დამოუკიდებელი ხდება მეორე დავალებისგან განსხვავებით.

4. აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი ფინალური დავალებისთვის. ამ დავალების შესრულების პროცესში შემსწავლელი ჩამოწერს პუნქტებს, რომლებსაც გამოიყენებს ადმინისტრაციისთვის წერილის მიწერის დროს.

5. ქტივობის მიზანია, შემსწვლელს გამოუმუშაოს მისთვის მნიშვნელოვან საკითხზე წერილის წერის უნარი. მას შეეძლოს მარტივი ფრაზებით რეაგირება თავისთვის საინტერესო განცხადებაზე.

ბლოკი 4

სასტუმროსკენ

---

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს მოსასმენი ტექსტის გლობალური გაგება. შემსწავლელები უსმენენ მოცემულ დიალოგებს და ავსებენ ცხრილს, სად ხდება მოქმედება თითოეულ დიალოგში.

2. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ივარჯიშოს ტექსტის დეტალურ გაგებაზე: იმისთვის, რომ მარშრუტი სწორად დახაზოს, უნდა გაიგოს დიალოგში მოცემული ყველა ინსტრუქცია.

3. აქტივობის მიზანია გრამატიკის სწავლა აღმოჩენით, ანუ ზმნების შესასწავლი ფორმების იდენტიფიცირება, შეგროვება, შემდეგ კი წესის თავად დადგენა.

4. აქტივობის მიზანია გზის სწავლების ფრაზების გამოყენებაზე ვარჯიში.

5. აქტივობის მიზანია ნასწავლის მასალის გამეორება და უფრო თავისუფლად გამოყენება, კერძლოდ, სასტუმრომდე გზის სწავლება.



თემა IV

სოციალური ქსელები, მედია

ბლოკი 1

ჩემ შესახებ

1. აქტივობის მიზანი ერთსა და იმავე დროს არის შემსწავლელების შემზადება თემისთვის და წინარე ცოდნის გააქტიურება ბლოგის შესახებ. შემსწავლელები ისაუბრებენ ბლოგის შესახებ.

2. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები გადახედავენ მოცემულ ტექსტს და გაარკვევენ, რა ტიპის ბლოგია.

3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები წაიკითხავენ ტექსტს და მონიშნავენ ცხრილში შესაბამის სახელებს.

4. აქტივობის მიზანია დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. წაიკითხავენ მოცემულ ტექსტებს კიდევ ერთხელ და იპოვიან ფრაზებს.

5. აქტივობაში გრძელდება დეტალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები კიდევ ერთხელ წაკითხვის შემდეგ შეავსებენ მოცემულ ცხრილს.

6. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ეს აქტივობა არის ბლოკის შემაჯამებელი აქტივობა, რომელშიც შემსწავლელებმა, მოცემული პუნქტების დახმარებით, უნდა დაწერონ ინფორმაცია საკუთარი თავის შესახებ.

ბლოკი 2

სოციალური ქსელები

1. მოცემული აქტივობა არის თემისთვის შესამზადებელი აქტივობა. შემსწავლელები წინარე ცოდნის დახმარებით საუბრობენ მათთვის ნაცნობი სოციალური ქსელების შესახებ და იხსნებენ, რისთვის იყენებენ მათ.

2. მეორე აქტივობის მიზანია ტექსტის გლობალური გაგება. შემსწავლელმა უნდა გაიგოს ძირითადი აზრი, რაზეა ტექსტი და შემოხაზოს შესაბამისი პასუხი.

3. მესამე აქტივობის მიზანია ტექსტის სელექციურ გაგებაზე მუშაობა. ამჯერად შემსწავლელი არჩევს ავტორისთვის ფეისბუქზე ყოფნის სამ მნიშვნელოვან მიზეზს.

4. **ა** მოცემული აქტივობის მიზანი დეტალური გაგება და ლექსიკაზე ვარჯიშია. შემსწავლელი პოულობს მსგავსი მნიშვნელობის სიტყვებს და აერთებს ერთმანეთთან. საჭიროების შემთხვევაში იყენებს კონტექსტს.

ბ ამ აქტივობაში შემსწავლელი ადარებს ფრაზებს საკუთარ ენასთან და აზუსტებს მნიშვნელობებს.

5. **ა** მოცემულ აქტივობაში გრძელდება ტექსტის სელექციურ გაგებაზე მუშაობა.

ბ ამ აქტივობაში შემსწავლელი მუშაობს დეტალურ გაგებაზე. მისი მიზანია ყურადღება გაამახვილოს ხაზგასმულ ზმნებზე და ნიმუშის მიხედვით შეავსოს ცხრილი. ამჯერად ის ყურადღებას აქცევს სხვა ფორმებს, რომლებიც ცხრილის შესავსებად სჭირდება.

გ მოცემული აქტივობის მიზანია შემსწავლელმა შევსებული ცხრილის მიხედვით შეძლოს ორი სხვადასხვა დროის ერთმანეთისგან განსხვავება.

დ მოცემულ დავალებაში შემსწავლელი შესრულებული მაგალითების მიხედვით აჯამებს აქტივობებს და ადგენს წესს, ამახვილებს ყურადღებას ახლანდელი და მომავალი დროის განმასხვავებელ ნიშნებზე.

6. მეექვსე აქტივობა ემსახურება შემაჯამებელ ფაზას. შემსწავლელი წაკითხული ტექსტისა და საკუთარი გამოცდილების მიხედვით აჯამებს სოციალური ქსელების მნიშვნელობას, მათ დადებით და უარყოფით მხარეებს.

ბლოკი 3

ვლოგი

---

1. **ა** აქტივობის მიზანია, შეამზადოს მასწავლებელიცა და შემსწავლელიც მოცემული საკითხისთვის. გამოთქმული ვარაუდების მიხედვით, მასწავლებელი განსაზღვრავს, როგორ განაგრძოს თემაზე მუშაობა. პირდაპირ გადავიდეს შემდეგ დავალებაზე, თუ ასოციაციურ რუკაზე უფრო მეტად გაამახვილოს ყურადღება.

ბ აქტივობის შესრულებისას შემსწავლელი გადაამოწმებს თავის ვარაუდებს და ჩაინიშნავს ახალ ინფორმაციას. ამ აქტივობის შესრულებისას ვარჯიშდება მოსმენისა და წერის უნარ-ჩვევები.

2. აქტივობის მიზანია, თემის ირგვლივ მოსმენის სელექციურ უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. ამავე მიზანს ემსახურება შემსწავლელის რვეულის პირველი და მეორე დავალებები.

3. აქტივობის მიზანი კვლავ სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიშია.

4. აქტივობის შესრულებისას შემსწავლელს უვითარდება მოსმენის დეტალური უნარ-ჩვევა, აგრეთვე ამზადებს მას შემდეგი აქტივობის შესასრულებლად, ერთგვარად მიანიშნებს, თუ რაზე უნდა გაამახვილოს ყურადღება.

5. ბლოკის ბოლო დავალებაა, რომლის მიზანიცაა, გადაამოწმოს, რამდენად შეძლო შემსწავლელმა ენობრივად საჭირო რესურსის მიღება მოცემული ბლოკიდან, რომლის მიხედვითაც შეძლებს საყვარელი ნივთის შესახებ საუბარს და მის დახასიათებას.

ბლოკი 4

სოციალური ქსელების უარყოფითი მხარე

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სოციალურ ქსელებთან დაკავშირებული მოსასმენი ტექსტების გლობალური გაგება.

2. წიგნის მე-2 აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სოციალურ ქსელებთან დაკავშირებული მოსასმენი ტექსტის სელექციური გაგება. შემსწავლელები უსმენენ ვიდეოჩანაწერს და მოცემული ფრაზებიდან ეძებენ არგუმენტებს მოცემული ფრაზებიდან.

3. მომდევნო აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სოციალურ ქსელებთან დაკავშირებული მოსასმენი ტექსტის დეტალური გაგება. კერძოდ, შემსწავლელები უსმენენ ვიდეოჩანაწერს და ვიდეოში ეძებენ მოცემული სიტყვების შესაბამის სინონიმებს.

4. მომდევნო აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს სოციალურ ქსელებთან დაკავშირებული მოსასმენი ტექსტის დეტალური გაგება.

5. აქტივობის მიზანია ლაპარაკის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები იყოფიან ორ ჯგუფად. **ა** ჩამოაყალიბებენ დადებით და უარყოფით არგუმენტებს დისკუსიისთვის.

ბ მართავენ დისკუსიას არგუმენტების საშუალებით და უსაბუთებენ თავიანთ მოსაზრებას მოწინააღმდეგე ჯგუფს.

ᲗᲔᲛᲐ V

ᲗᲔᲐᲢᲠᲘ, ᲙᲘᲜᲝ

ᲑᲚᲝᲙᲘ 1

ᲤᲘᲚᲛᲘᲡ ᲞᲠᲔᲛᲘᲔᲠᲐ

---

1. **ა** აქტივობის მიზანი ერთსა და იმავე დროს არის შემსწავლელების შემზადება თემისთვისა და მოსასმენი ტექსტისთვის. შემსწავლელები ფოტოსურათის მიხედვით გამოთქვამენ ვარაუდებს, რის შესახებ შეიძლება იყოს სიუჟეტი.

ბ აქტივობის მიზანია გლობალური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მოუსმენენ ჩანაწერს და მონიშნავენ, რის შესახებ არის სიუჟეტი.

2. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მოუსმენენ ჩანაწერს კიდევ ერთხელ და ცხრილში მოცემულ ფრაზებს დააკავშირებენ ერთმანეთთან.

3. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები მოუსმენენ ჩანაწერს კიდევ ერთხელ და მონიშნავენ სწორ პასუხს.

4. აქტივობაში გრძელდება სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები კიდევ ერთხელ მოუსმენენ ჩანაწერს და მთავარი პერსონაჟის შესახებ გაიგებენ ინფორმაციას.

5. აქტივობის მიზანია წერის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელებმა უნდა დაწერონ, თუ ნახავდნენ ამ ფილმს და რომელი ფრაზების გამო გაუჩნდათ ამ ფილმის ნახვის ან არ ნახვის სურვილი.

ბლოკი 2

რომელი ფილმი ან სპექტაკლი მოგწონთ?

1. აქტივობის მიზანია ტექსტის, კონკრეტულად აფიშის სელექციური გაგება. შემსწავლელი შეძლებს, რომ ამოარჩიოს და გადაანაწილოს ინფორმაცია სწორად.

2. მოცემული აქტივობის მიზანია მოსმენის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში, სელექციურ გაგებაზე მუშაობა. შემსწავლელი მოუსმენს აუდიოჩანაწერს და ამოარჩევს მისთვის საინტერესო კითხვებზე პასუხს.

3. მესამე აქტივობის მიზანია ლექსიკურ ერთეულებზე ვარჯიში, დეტალური გაგება. შემსწავლელი აუდიოჩანაწერის მიხედვით იპოვის მოცემული ფრაზების სინონიმებს.

4. მოცემულ აქტივობაში გრძელდება დეტალურ გაგებაზე ვარჯიში. შემსწავლელმა უნდა შეძლოს სურვილის გამომხატველი ფრაზის ამოცნობა და მისი მნიშვნელობის დაზუსტება.

ე დავალების მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს ორი განსხვავებული ფორმის ერთმანეთისგან გამიჯვნა.

ზ მოცემული დავალება ემსახურება ტრანსფერის ფაზას, მე-5 დავალების შემაჯამებელი აქტივობაა.

5. ბოლო აქტივობის მიზანი არის ბლოკის შეჯამება. ამჯერად შემსწავლელი ეცნობა ახალ აფიშებს, რომელთა მიხედვითაც მან უნდა შეძლოს, დაარწმუნოს მეგობარი, რომ წავიდნენ ერთ-ერთ ფილმზე / სპექტაკლზე.

ბლოკი 3

თეატრში

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ფრაზების მიხდევით შეძლოს იდენტიფიცეირება, განსაზღვროს, რომელი დიალოგი რომელ სიტუაციას შეესაბამება. ვარჯიშდება მოსმენის გლობალური უნარ-ჩვევა.

2. ა აქტივობის მიზანია, მოსმენის დროს ყურადღება გამახვილდეს მნიშვნელოვან ინფორმაციაზე. ვარჯიშდება მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევა. იმავე მიზანს ემსახურება ბ და გ დავალებები. აგრეთვე, შემსწავლელის რვეულის პირველი და მეორე დავალებები.

3. აქტივობის მიზანია, მოსმენის დეტალურ უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

4. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ყურადღება მიაქციოს აზრის არუმენტირებულად დასაბუთებას.

ბ აქტივობის მიზანია, ენის შემსწავლელს მიაწოდოს საჭირო ლექსიკური მარაგი, რომელსაც გამოიყენებს, თუ ვინმეს რაიმეში დარწმუნებას გადაწყვეტს.

5. აქტივობის შესრულებისას შემსწავლელი გამოიყენებს იმ სიტყვებსა და ფრაზებს, რომლებიც წინა აქტოვობაში ჩაინიშნა. ესაა პროდუცირების აქტივობაა.

ბლოკი 4

ფაბულა

---

1. აქტივობის მიზანია, შემსწავლელი მოამზადოს ავთენტიკური სიტუაციისთვის, რომ მან შეძლოს ონლაინბილეთის ყიდვა სპექტაკლისთვის. შესამზადებელი დავალებაა შემდეგი აქტივობისთვის.

2. შემსწავლელი ყურადღებას ამახვილებს ცალკეულ დეტალებზე, რომლებიც მას დაეხმარება განსაზღროს, ავთენტიკურ სიტუაციაში უნდა იყიდოს ბილეთი თუ არა. აფიშის დეტალებზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულის პირველ და მეორე დავალებებში.

3. აქტივობა კითხვის გლობალური უნარ-ჩვევის განვითარებას ემსახურება. შემსწავლელებს უწევთ, რომ მხოლოდ გადახედონ ტექსტს და არ წაიკითხონ დეტალურად.

4. **ა** აქტივობის მიზანია, შეამზადოს შემსწავლელი, რომ ამბავი მოჰყვეს თანმიმდევრულად.

ბ ყურადღება გაუმახვილოს საჭირო ზმნებზე, რომლებიც შესაძლოა დასჭირდეს ამბის თხრობის დროს.

5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა გამოიყენოს წინა დავალებაში მიღებული ცოდნა.

თემა VI

უცხოელები და საქართველო

ბლოკი 1

საქართველოში მცხოვრები უცხოელი

1. აქტივობის მიზანია თემისთვის შემზადება. შემსწავლელი გაიაქტიურებს წინარე ცოდნას და გამოთქვამს ვარაუდებს ტექსტის წაკითხვამდე.

2. აქტივობის მიზანია გლობალური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელები გადახედავენ ტექსტს და გადაამოწმებენ საკუთარ ვარაუდს.

3. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში. შემსწავლელმა ცხრილში მოცემული ინფორმაცია უნდა იპოვოს ტექსტში.

4. აქტივობის მიზანია დეტალური გაგების დონეზე გრამატიკული ფენომენის (ცალკეული კავშირების) იდენტიფიცირება და მათი ფუნქციის / გამოყენების არეალის იდენტიფიცირება მსგავსება-შედარების გზით.

5. აქტივობა ემსახურება კავშირების ფუნქციების დაზუსტებას მეწყვილესთან დისკუსიის საფუძველზე.

6. მეოთხე და მეხუთე აქტივობების შესრულების შედეგად მიღებული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შემსწავლელმა თავად უნდა ჩამოაყალიბოს გრამატიკული წესი.

ბლოკი 2

ინტერვიუ ჯოზეფ სმიტთან

1. აქტივობის მიზანია სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის განვითრება. შემსწავლელი ჩანაწერის მოსმენისას ყურადღებას გაამახვილებს საჭირო ინფორმაციაზე.

2. აქტივობის მიზანი კვლავ მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევის განვითარება და ლექსიკურ ერთეულებზე ყურადღების გამახვილდებაა. აქტივობის შესრულების შემდეგ, საჭიროებიდან გამომდინარე, მასწავლებელმა შესაძლოა, ყურადღება გაამახვილოს მოცემულ ლექსიკურ ერთეულებზე.

3. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა ყურადღება გაამახვილოს პროფესიებზე, კვლავ სელექციური მოსმენის უნარ-ჩვევის დახმარებით. მოსმენის დეტალურ უნარ-ჩვევაზე ვარჯიში შესაძლებელია შემსწავლელის რვეულში მოცემული დავალებებით: ბლოკი 2, აქტივობა – 1, 2, 4, 5.

4. აქტივობის მიზანია, ირიბ ნათქვამზე, -ო ნაწილაკზე ყურადღების გამახვილება.

5. აქტივობის მიზანია, წინა დავალებაში იდენტიფიცირებული გრამატიკული ფენომენის გამოყენება პრაქტიკაში.

ბლოკი 3

იაპონელი ქართველოლოგი

1. აქტივობის მიზანია ვარაუდის გამოთქმის უნარის გამომუშვება, აგრეთვე სიტყვის დაბოლოებაზე ყურადღების გამახვილება. ამ პროფესიაზე ყურადღება მახვილდება შემსწავლელის რვეულის პირველ დავალებაში, რომელშიც შემსწავლელებმა უნდა გამოთქვან ვარაუდი, რა განსხვავებაა ქართველოლოგსა და ქართული ენის მასწავლებელს შორის.

2. აქტივობის შესრულებისას შემსწავლელი ახლა უკვე მოისმენს იმ სიტყვას, რომელიც წინა დავალებაში ეწერა. აგრეთვე, ვარჯიშდება მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევა. სელექციურ მოსმენაზე ვარჯიში გრძელდება შემსწავლელის რვეულის მეორე დავალებაში. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ამ დავალების მეოთხე წინადადებაში არის ფრაზა ვიდეოდან: „უცხო ენათა ცენტრი", რომელიც არასწორადაა გადმოთარგმნილი, სავარაუდოდ, საქართველოში არსებული ძველი უცხო ენათა ინსტიტუტის გავლენით, ვინაიდან იასურიჰირო იმ პერიოდში ცხოვრობდა საქართველოში, როცა ეს ინსტიტუტი არსებობდა.

3. აქტივობის მიზანი კვლავ მოსმენის სელექციური უნარ-ჩვევაზე ვარჯიში და ტექსტის სტრუქტურის გამოკვეთაა.

4. აქტივობა გამიზნულია შედარებით წვრილი საინფორმაციო ერთეულების სელექციური გაგებისთვის: **ა** აქტივობის შესრულებისას შემსწავლელი ჩაინიშნავს მხოლოდ იმ ენებს, რომლებიც იცის ქართველოლოგმა. ამ შემთხვევაში, კარგი იქნება, თუ ყურადღება გამახვილდება ორთოგრაფიაზე.

ბ აქტივობის შესრულებისას შემსწავლელს მესამე პირში მოუწევს დაწერა. ვარჯიშდება როგორც მოსმენის, აგრეთვე წერის უნარ-ჩვევა. კარგი იქნება, თუ მასწავლებელი ყურადღებას გაამახვილებს იმ გარემოებაზე, რომ შემსწავლელებმა სიტყვასიტყვით არ უნდა ჩაიწერონ ვიდეოში ნათქვამი ტექსტი, არამედ მოსმენის შემდეგ, საკუთარი სიტყვებით უნდა შეძლონ აზრის გადმოცემა.

5. აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა შეძლოს პირველ პირში საუბარი საკუთარი გამოცდილების შესახებ. ამ შემთხვევში ვარჯიშდება ლაპარაკის უნარ-ჩვევა, თუმცა, ამ საკითხზე მუშაობა გრძელდება შემსწავლელის რვეულის მეხუთე დავალებაში, რომელშიც მას უწევს იმავე ინფორმაციის წერილობითი სახით გადმოცემა.

ბლოკი 4

როგორ ვსწავლობ ენას?

1. ა აქტივობის მიზანია, შემსწავლელმა დაიწყოს საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირვება-რეფლექსია და სწავლის პროცესში აღმოჩენელი ლაფსუსების გაცნობიერება, რაც, მეორე მხრივ, შინაარსობრივი შემზადებაა ბლოკის ცენტრალური ტექსტისთვის.

2. აქტივობის მიზანია სელექციური კითხვის უნარ-ჩვევაზე ვარჯიში.

3. აქტივობა გამიზნულია შედარებით უფრო წვრილი საინფორმაციო ერთეულების სელექციურ გაგებაზე.

4. აქტივობის მიზანია ახალ მასალაზე ვარჯიში და მეტაკოგნიციის დონეზე საკუთარი სწავლის პროცესზე დაკვირების გაღრმავება სხვებთან ინფორმაციის შეჯერების სახით.

5. აქტივობის მიზანია ნასწავლი ლექსიკური მასალის გამოყენება ღია დავალების სახით.

www.geofl.ge